

პირველადი
გადაუდებელი
დახმარება
დამწვრობისას



დამწვრობა – არის ქსოვილების დაზიანება მაღალი ტემპერატურის ან ქიმიური ნივთიერებების ზემოქმედების შედეგად. დამწვრობა სიმძიმის მიხედვით არის: 1, 2, 3 და 4 ხარისხის; გამომწვევის მიზეზის მხრივ დამწვრობა ოთხი სახისაა.

- თერმული დამწვრობა ;
- ელექტრული დამწვრობა;
- ქიმიური დამწვრობა;
- მზით დამწვრობა .

დამწვრობისას ,რა მიზეზითაც არ უნდა იყოს,პირველ რიგში საჭიროა დამწვარი ზედაპირის გაციება--ცივი წყლით,თოვლით, ყინულით. გაციების შედეგად ტკივილი მცირე ხნით ყუჩდება.



არსებობს 4 ხარისხის დამწვრობა:

I. ხარისხი-- მას ახასიათებს- კანის მსუბუქი შეწითლება და შეშუპება .

შეიძლება დამუშავდეს ანტიბიოტიური (რივანოლი, კალიუმის პერმანგანატი) ხსნარით.

დამწვრობის სახეები:



II. ხარისხი- მას ახასიათებს- კანის შეწითლება, შეშუპება და ბუშტუკების წარმოქმნა კანის ზედაპირზე. **არ შეიძლება ბუშტუკის თხელი აკკის დაზიანება!** ამ შემთხვევაში საჭიროა დაზარალებულის გადაყვანა სამედიცინო



III ხარისხი-ამ დროს წარმოიქმნება ჭრილობა, მოცილებულია კანის ფენა. დაზიანებულია კანქვეშ ქსოვილებიც. ჭრილობას აქვთ მოყავისფრო-მორუხო შესახედაობა და მკვრივია შეხებისას. დაზარალებული დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადაყვანილი კლინიკაში.



IV ხარისხი- დაზარალებულის მდგომარეობა მძიმეა. დამწვარია კანი, კუნთოვანი ქსოვილები. მყესები.ჭრილობა არის შავი ფერის. შეხებისას მგრძნობელობა არ აღინიშნება.დაზარალებული დაუყოვნებლივ საჭიროებს სამედიცინო დახმარებას და კლინიკაში გადაყვანას.



თერმული დამწვრობა

თერმული დამწვრობა ვითარდება სხეულზე უშუალოდ ცეცხლის ალის ზემოქმედებით, ასევე კანზე მაღალ ტემპერატურაზე გახურებული ნივთების ან სითხის კონტაქტით.

თუ დაზარალებულის ტანსაცმელს უკიდია ცეცხლი! სასწრაფოდ უნდა მივასხათ დიდი რაოდენობის წყალი(თუ ეს შესაძლებელია)

თუ წყალი მიუწვდომელია, სასწრაფოს უნდა მოვაშოროთ ცეცხლმოკიდებული ტანსაცმელი, ისე რომ თვითონ არ დავზიანდეთ!



გადაუდებელი დახმარება.
მაშველი მოქმედებს დამწვრობის ხარისხის მიხედვით. თუ ხარისხი მაღალია უნდა გამოვუძახოთ სამაშველო/სასწრაფო დახმარებას.

ბავშვები ხშირად ღებულობენ დამწვრობას პიროტექნიკის არასწორი გამოყენების შედეგად.



ამ შემთხვევაში საჭიროა სხეული გავათავისუფლოთ ტანსაცმლისგან, დამწვარი ადგილი გავაგრილოთ წყლის ჭავლით; თუ საშუალება გვაქვს დავაფინოთ დამწვარ ზედაპირზე ანტისეპტიკურ ხსნარში დასველებული დოლბანდი.

არ შეიძლება დამწვარ ზედაპირზე რაიმე მალამოს ან საცხის დადება!



ელექტროთერმული დამწვრობა

თანამედროვე ცხოვრება წარმოუდგენელია ელექტრობის გარეშე! ელექტრობა არის ყველგან. მაგალითად, სახლში, ხელით შეილება შეეხოს ადამიანი გამიშვლებულ ელ.სადენს და მას „დაარტყამს ელ.დენი“, ტანსაცმელი ააღდება. ამის შედეგად ადამიანი იღებს ელექტროთერმულ დამწვრობას. ანუ დაზარალებულმა მიიღო ქსოვილების დამწვრობითი დაზიანება ელექტრული დენის ზემოქმედების შედეგად.



პირველადი გადაუდებელი დახმარება: პირველ რიგში უნდა შევწყვიტოთ ელ.დენის ზემოქმედება ადამიანზე – გავთიშოთ ელ.დენი ან გამოვათრიოთ ადამიანი რაიმე საგნის(ხის ტოტი, ხის ჯოხი) დახმარებით. შემდეგ დამწვრობის ხარისხის შესაბამისად მივიღოთ ზომები.



ქიმიური დამწვრობა

ქიმიურ დამწვრობას იწვევს ქიმიური ხსნარების ზემოქმედება კანზე და ლორწოვან გარსებზე. ქიმიური ხსნარები გამოიყენება როგორც მრეწველობაში ასევე საყოფაცხოვრებო პირობებშიც.

სანამ სასწრაფო დახმარებას გამოვიძახებთ, საჭიროა შევწყვიტოთ დაზიანებულ ზედაპირზე მავნე აგენტის ზემოქმედება. ამისთვის საჭიროა მოვზანოთ დაზარალებულს კანი წყლით ან საჭმელი სოდის ხსნარით.

შემდეგ დავადოთ ნახვევი და მივმართოთ სამედიცინო დახმარებას.

ზოგ შემთხვევაში საჭიროა სამედიცინო დახმარების დაუყოვნებლივ გამოძახება(მაგ. დაზიანებულია ბავშვი, ან უცნობია ქიმიური ნივთიერება და სხვა.)



მზით დამწვრობა

მზეზე შეუმოსავად ან დამცველი მალამოების გარეშე დიდხანს ყოფნა იწვევს მზით დამწვრობას.

პიველადი დახმარება მზით დამწვრობისას.

პირველი- საჭიროა დაზარალებულმა მიიღოს გრილი ან ცივი შხაპი.თუ დაზარალებულს არ შეუძლია თვითონ შხაპის მიღება, საჭიროა გადავაჯლოთ ცივი წყალი.

მეორე- საჭიროა მივცეთ დიდი რაოდენობის გრილი სითხე(წყალი, რძე. კომპოტის წვენი) ორგანიზმში წყლის ბალანსის აღსადგენად.

მესამე-დაზარალებულს წავუსვათ კანზე მზით დამწვრობის საწინააღმდეგო მალამო. თუ დამწვრობის ხარისხი მაღალია (მე-2 ხარ) ,გადავიყვანოთ კლინიკაში.

Picture of Sunburn (Second-Degree)



[View More](#)